ხაშურის მოამბე

№29 (60) 2 აგვისტო, სამშაბათი, 2016 წელი

"ქართულმა ოცნებამ" შიდა ქართლში მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მოსახლეობას შიდა ქართლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა. „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ ქალაქ გორში წარმოადგენს იოსებ მაკრახიძე, გორის რაიონში – თენგიზ ხუბულური, ხაშურში – ვალერი გელაშვილი, ქარელში – გიორგი თოთლაძე, კასპში კი – ირაკლი მეზურნიშვილი. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლა აგვისტოს ომის გახსენებით დაიწყო და

დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო„ქედს ვიხრი ამ მხარის გმირების წინაშე, ქედს ვიხრი თითოეული თქვენგანის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩემი პატივისცემა დაგიდასტუროთ და გითხრათ - დღეს რომ ქართლი და მთლიანად საქართველო ისევ ფეხზე დგას, თქვენი გამძლეობის, თქვენი თავდადებისა და სამშობლოს ერთგულების დამსახურებაა“, - ასე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გორში შეკრებილ მოსახლეობას. „სამწუხაროა, რომ ქართველებს 21-ე საუკუნეში ისევ მოგვიხდა სისხლისღვრა საკუთარი მიწისთვის, ბრძოლა სამშობლოსთვის და აქაც ქართლმა კიდევ ერთხელ საკუთარ თავზე მიიღო დარტყმა, კიდევ ერთხელ შეასრულა მისია, რომელიც მას ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა. დღეს კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო აგვისტოს ომში დაღუპულები და კიდევ ერთხელ პატივი მივაგო მათ ხსოვნას. ქედს ვიხრით ყველანი მათი უკვდავი სულების წინაშე“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას. მთავრობის მეთაურმა მშვიდობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ქვეყანაში ნებისმიერი საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და მშვიდობის შენარჩუნებაა. „როდესაც „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ბრძოლაში ერთვებოდა, ჩვენი მიზანი იყო გონივრული პოლიტიკის გატარება და ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, ნებისმიერი საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და ჩვენ ეს მოვახერხეთ. თუმცა, საფრთხე არ გამქრალა, დღესაც დიდი გამოწვევების წინაშე

ვდგავართ და დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ შევინარჩუნოთ ეს ძნელად მოპოვებული მშვიდობა. ქართველებს არც წარსულისა და არც მომავლის წინაშე უფლება არა გვაქვს ნაჩქარევად მივიღოთ გადაწყვეტილებები. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ წარსულის შეცდომები. თუმცა, არასოდეს შევეგუებით ჩვენი ტერიტორიის, ჩვენი მიწა-წყლის ოკუპაციას და ყველა მშვიდობიანი ხერხით ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს გამთლიანებისთვის“.-განაცხადა პრემიერმა. გიორგი კვირიკაშვილმა დევნილებს გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობა მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს: „მინდა მივესალმო დევნილებს და მადლობა ვუთხრა მათ გამძლეობისთვის. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მათ ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ. ჩვენ ძალიან ბევრ ოჯახს უკვე გადავეცით ბინა და დღეს ეს ხალხი საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრობს. დაგეგმილი გვაქვს, 2017 წელს მთლიანად გადავჭრათ შიდა ქართლის დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა" - განაცხადა მთავრობის მეთაურმა. პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობას მთავრობის მიერ 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ საგადასახადო რეფორმა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება, გამართული ინფრასტრუქტურა და მმართველობის ეფექტიანი სისტემა - ეს არის ის, რაც დღეს ადამიანების ცხოვრებას მაქსიმალურად შეცვლის უკეთესობისაკენ. „ჩვენ ყურადღებას და მზრუნველობას არ ვაკლებთ საზღვრისპირა სოფლებს, განვახორციელეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, შეუმსუბუქებს ცხოვრებას ჩვენს ხალხს, რომლებსაც მორალურადაც და ფიზიკურადაც ურთულეს პირობებში უწევთ ცხოვრება. მინდა მათ ვუსურვო გამძლეობა და ვუთხრა, რომ სახელმწიფო მათ გვერდზეა“- აღნიშნა მთავრობის მეთაურმა და ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია საოკუპაციო ზოლთან არსებულ სოფლებში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით. „საოკუპაციო ზოლთან არსებულ ყველა სოფელში, და ასეთია 56 სოფელი, უკვე დასრულდა გაზიფიცირება და დღეისათვის ყველა უზრუნველყოფილია გაზით. ასევე ყველა ეს სოფელი გამრიცხველიანებულია. 19 სოფელში მოეწყო წყალმომარაგების სისტემა, 2017 წლის ბოლომდე კი ყველა სოფელს ექნება წყალი. 17 სოფელში ავაშენეთ ახალი ამბულატორია. ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს და ვეხმარებით ამ ზონაში მცხოვრებ ახალგაზრდებს განათლების მიღებაში და ვაფინანსებთ სტუდენტების საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლის საფასურს. მინდა გითხრათ, რომ კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შევუმსუბუქოთ მორალური ტვირთი ამ სოფლების მოსახლეობას.“ - განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი გამოთქვა„ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და გაიმარჯვებს, როგორც ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ერის კონსოლიდაცია, ქვეყნის სწრაფი განვითარება და ხალხისათვის კეთილდღეობის მოტანა“-განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. გორში შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ. „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა იმედი გამოთქვა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მათი მხარდაჭერის. „მე მჯერა, 8 ოქტომბერს გავიმარჯვებთ, ეს არ იქნება მხოლოდ „ქართული ოცნების" გამარჯვება, ეს იქნება მთელი საქართველოს გამარჯვება. კახა კალაძემ სიტყვით გამოსვლისას 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირები გაიხსენა და პატივი მიაგო მათ ხსოვნას. „რამდენიმე დღეში ისევ გავიხსენებთ 8 აგვისტოს. გორმა ბევრი სისხლი და ტკივილი ნახა და ამიერიდან ჩვენი მთავარი საზრუნავია მშვიდობაა" - განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №60 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 10 205,7 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 3 509.5 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან - 1 150,1 ათასი ლარი.

2016 წლის ექვსი თვის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებების შეტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 18 745,5 ათასი ლარით, რაც 8 539,8 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს. 2016 წლის ექვს თვეში შემოსულობების საკასო შესრულებამ 3 505.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 100,1%-ს შეადგენს, ხოლო შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 95.5%-ით, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი-68,7%, საწარმოთა ქონების გადასახადი - 140,4%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 20,8%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 18,8%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 104,3%-ით, მათ შორის: შემოსავალი პროცენტებიდან-119,6%-ით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 101,8%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 93,1%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 78,8%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 83,6%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 111,1%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 183,6%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან – 101,7%-ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 105,0%-ით.

2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 45,7%-ს (2 943,0 ათასი ლარს), „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გათვალისწინებულია 4 986,7 ათასი ლარი, ხოლო მიღებულია 2 078,0 ათასი ლარი, მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 229,0 ათასი ლარი, მიღებულია – 114,6 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე, ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 172,3 ათასი ლარი. აქედან მიღებულია - 750,4 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულია 618,7 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის 265 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 856,8 ათასი ლარი.

2016 წლის ექვსი თვის მონაცემებით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 7 015,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 94,9%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ექვსი თვის განმავლობაში, გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის საკასო შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 89,9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 15,7%), თავდაცვა - 78,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,8%), ეკონომიკური საქმიანობა - 95,9% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 20,0%), გარემოს დაცვა - 98,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,9%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 95,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,9%), ჯანმრთელობის დაცვა - 89,1% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 1,5%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 98,5% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,5%), განათლება - 99,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,5%), სოციალური დაცვა - 90,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 12,4%). მთლიან ხარჯებში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი - 20% ეკონომიკურ საქმიანობას უკავია.

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 92,8%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები - 85,8%-ით, სუბსიდიები - 98,1%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 91,2%-ით, სხვა ხარჯები - 93,0%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 96,8%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №60 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა არ განხორციელებულა.

– მშენებლობა –

ხარისხით მოსახლეობა კმაყოფილია

სახელმწიფოს ყველაზე დიდი ფულადი რესურსი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე იხარჯება, რადგან ათეულობით წლის წინ გაკეთებული და აშენებული, თავიდან შენებას თუარა, გვარიან რეაბილიტაციას მაინც საჭიროებს. სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, საკანალიზაციო სისტემები, ნაპირსამაგრი სამუშაოები ყველაზე დიდი და უპირველესი გამოწვევაა ქვეყნისათვის. არსებობს უამრავი კომპანია, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერის საშუალებით, აღნიშნული პროექტების შესრულების ვალდებულებას იღებენ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, მდინარე ბიჯნისულაზე მიმდინარე და თითქმის დასრულებული ნაპირსამაგრი სამუშაოები დავათვალიერეთ, რომელსაც ინდმეწარმე გივი მჭედლიძე ასრულებს. მანამდე აღნიშნულ სამუშაოებს ორი კომპანია ახორციელებდა, რომელთა მშენებლობის ხარისხიც არ შეესებამებოდა კონტრაქტის პირობებს და შეუწყდათ კონტრაქტი. დღეს განსხვავება თვალსაჩინოა ისეთი თვალისთვისაც კი, რომლისთვისაც უცნობია სამშენებლო საქმიანობის სპეციფიკა და ცოდნა. მოსახლეობა, რომელიც ათეულობით წელია ამ პრობლემის წინაშე დგას, მადლიერებას გამოხატავს ბატონი გივის კომპანიის მიმართ. სურამის ერთ-ერთი მკვიდრი, თვითონ მოვიდა მადლობის გადასახდელად, თან გვიხსნიდა განსხვავებას სამი კომპანიის ნახელავს შორის.

დავით კორკოტაძე (ადგილობრივი მაცხოვრებელი): ყოველი წყალდიდობის დროს სერიოზული პრობლემის და საშიშროების წინაშე ვიდექით მოსახლეობა. გაზაფხულზე და ხანგრძლივი წვიმების დროს ადიდებული მდინარე ტბორავდა საცხოვრებელ სახლებს. რამდენიმე კომპანიამ იმუშავა მანამდე და განსხვავება თვალსაჩინოა. პირველივე წვიმის დროს გამოეცალა საძირკველი კედელს და გადახეთქა. გარდა ამისა, ადიდებულ მდინარეს მოჰქონდა საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც ხიდის ქვეშ გროვდებოდა, იჭედებოდა და წყლის დაგუბებას იწვევდა. ამ ახალმა კომპანიამ, არათუ ნაპირები გაამაგრა, ხიდიც გაწმინდა დაგროვილი ნარჩენებისგან.

გივი მჭედლიძე:

—სპეციალობით გვირაბების მშენებელი ვარ, 35 წლიანი სამუშაო გამოცდილებით. 2006 წლიდან გადავწყვიტე ჩემი კომპანიის შექმნა, რომელიც სარგებელს არამხოლოდ ჩემს ოჯახს, არამედ ჩემს რაიონსაც მოუტანდა. ცხრამუხის ტერიტორიაზე ბეტონის ქარხანა მაქვს, ქვის სამტვრევი საამქრო, ქვიშის სარეცხი, რკინის კონსტრუქციებსაც ვაკეთებთ. ძირითადად სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობით სამუშაოებს ვახორციელებთ. თითქმის დავასრულეთ მდინარე ბიჯნისულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები. სადაც ჩვენამდე ანალოგიური კომპანიები მუშაობდნენ, როგორც ქვეკონტრაქტორმა, ავიღე ვალდებულება, შემესრულებინა ეს სამუშაო, რომელიც სხვადასხვა სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან მიუდგომელი ადგილი იყო და მოსახლეობამ გამოიჩინა კეთილი ნება, დაეთმოთ საკუთარი ეზოები სამუშაოების საწარმოებლად. განსაზღვრული იყო ვადა, 90 დღეში 270 გრძივი მეტრი ბეტონის კედლის, 46 მ. აქ და ბუღაურის დასახლებაში 22-25 მ-იანი გაბიონის მოწყობა უნდა მოგვესწრო. დაახლოებით 12 მუშახელი მყავს დასაქმებული, ორი ტრაქტორი, დიდი ექსკავატორი, სატვირთო მანქანები, რაც საშუალებას გვაძლევს დათქმულ ვადებში ჩავაბაროთ ობიექტი და ხარისხიც შესაბამისი იყოს, ამაში მოსახლეობაც დაგეთანხმებათ, რომ ჩვენი გაკეთებული ბეტონის კედლები ხარისხობრივადაც და სიმტკიცითაც ბევრად აღემატება ჩვენ წინ მომუშავე კომპანიების გაკეთებულს. ზედამხედველობის სამსახურში არსებობს ფოტომასალაც, თუ როგორი მეთოდით ვაკეთებთ ამ ყველაფერს, რა სიღრმეზე ჩავდივართ, რა მასალით და ა.შ. საუკეთესო ცემენტს ვიყენებთ, რაც უფრო მყარს ხდის კედელს, კალაპოტს ვჭრით და საძირკველს ვაკეთებთ. დარჩენილია 30 მ-იანი მონაკვეთი, სადაც ჩემი აზრით, უნდა გაკეთდეს ბეტონის კედელი, რადგან რთული მონაკვეთია, მთლიანი ღირებულება დაახლოებით 30 000 ლარია. ამჟამად ურთქმელიძეების უბანში 56 მ-იანი მონაკვეთზე ვიწყებთ მუშაობას, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ერთად.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურში კომბინირებული საკვების დამამზადებელი საწარმო შენდება

„ხაშურის მოამბე" არაერთი წარმატებული და მიზანდასახული მეწარმე გააცნო მკითხველს,ამჯერად კი,ბიზნესმენ **შავლეგ მჭედლიძის** საქმიანობისა და დაგეგმილი მეტად მნიშვნელოვანი წამოწყების შესახებ გიამბობთ. ბატონი შავლეგი აშენებს ფრინველის, ცხოველის, თევზის კომბინირებული საკვების დამამზადებელ საწარმოს, რომლის მშენებლობისთვისაც და ფუნქციონირებისთვისაც საჭირო თანხები სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროექტის, „შეღავათიანი აგროკრედიტის" ფარგლებში მობილიზდა. უფრო ვრცლად სამუშაოების მიმდინარეობასა და საწარმოს შექმნის სიკეთეებზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

ჩვენს მკითხველს აქვე შევახსენებ, რომ ზემოაღნიშნული პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებს იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.

- ბატონო შავლეგ, მოგვიყევით, საწარმოს მშენებლობა ამჟამად რა ეტაპზეა და როდის იგეგმება მისი სრულად ამუშავება?

– საწარმო, საერთო ჯამში, სამსართულიანი იქნება, ზომით, დაახლოებით, 22-12 მეტრზე. ამასთან, სარდაფი, რომელიც უკვე დასრულებულია, კეთდება 3 მეტრ სიღრმეზე. ფართი გათვლილია ასევე ადმინისტრაციისთვის და მანქანა-დანადგარებისთვისაც, სხვათაშორის, ეს დანადგარები შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან, რომლის შეძენა 40 ათას დოლარამდე ჯდება. ჩვენი საწარმო ხაშური-ბორჯომის მაგისტრალზე მდებარეობს, გზიდან გადასახვევია 200 მეტრში. უკვე გაყვანილია მისასვლელი გზა და ელექტროენერგიაც. წინასწარ გვაქვს გადახდილი საფასური და დაახლოებით ორ კვირაში ვიქნებით უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით. საწარმოს სრულ ამუშავებას ვგეგმავთ სექტემბრის 15 რიცხვისათვის.

- როგორც ვიცი, საწარმოს აშენებისთვის თანხა შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში მიიღეთ..

– დიახ, ნამდვილად ასეა. ჩვენი წამოწყება იაფი აგროკრედიტით არის დაფინანსებული. სულ 90 000 დოლარი მივიღეთ სესხის სახით. რა თქმა უნდა, ჩვენი თანხებიც იხარჯება, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ შენობის აშენებისთვის, დაახლოებით, 80 ათასი დოლარია საჭირო...

- რამდენი ადამიანია ამჟამად მშენებლობაზე დასაქმებული და რამდენი დასაქმდება მომავალში, როდესაც საწარმო ფუნქციონირებას დაიწყებს?

– ცხადია, დასაქმება ჩვენთვისაც პრიორიტეტულია. ამჟამად მშენებლობაზე 6 ადამიანია დასაქმებული. გამომდინარე იქიდან,რომ საწარმო უმაღლესი დონის მანქანა- დანადგარებით იქნება აღჭურვილი, მინიმალურად გამორიცხავს ხელით შრომას, ამიტომაც 6-7 ადამიანის დასაქმებას შევძლებთ. სამაგიეროდ, ნედლეულს შევისყიდით ადგილობრივი მოსახლეობისაგან სიმინდის, პურის მარცვლის და ქერის სახით.

- როდესაც ასეთი ფართო მასშტაბების საწარმოს აშენებას გეგმავთ, ცხადია, ყველა სტანდარტი დაცული იქნება...

– ჩვენი საწარმო აუცილებლად უზრუნველყოფს ევროპული სტანდარტების დანერგვასა და მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მიწოდებას. ჩვენი უმთავრესი დანიშნულება იქნება საშუალო და მცირე ზომის ფერმერების ცხოველთა და ფრინველთა უმაღლესი ხარისხის საკვებით, საკვები დანამატებითა და კვების თანამედროვე მეთოდებით უზრუნველყოფა. მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზება ჩვენი უპირველესი ამოცანა გახდება, ყველა ჩვენი პროდუქტი, უსათუოდ გაივლის ხარისხისა და ქიმიური შემადგენლობის მკაცრ კონტროლს, რაც გარანტიაა იმისა, რომ არ ჩამოვრჩეთ ევროპულ სტანდარტებს და დავაკმაყოფილოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერების მოთხოვნები ცხოველთა და ფრინველთა კვების სფეროში. ვფიქრობ, ამით ფერმერული მეურნეობაც განვითარდება ხარისხიანი პროდუქციის, თანამედროვე ცოდნის მიწოდების და კვალიფიციური კონსულტაციების საშუალებით.

- რამდენად შეღავათიან ფასებში გაყიდით კომბინირებულ საკვებს?

– ჩვენი წინასწარი გამოთვლებით, კომბინირებული საკვები ფასი არ უნდა ასცდეს 75 თეთრს. ფასები დამოკიდებული იქნება ნედლეულის შესასყიდ ფასებზე. მას დაემატება მიკროქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებები შემადგენლობაში, მარილი, რომელიც აუცილებელია ცხოველისათვის. აქვე აღვნიშნავ დანადგარების წარმადობასაც, რომელიც შემდეგნაირია: საათში უშვებს 2,5-3 ტონა საკვებს. განსაზღვრული გვაქვს ადგილობრივი ბაზრის 20-30 % ათვისება. ზოგადად, ადგილობრივი მოსახლეობა კომბინირებულ საკვებს ნაკლებად იყენებს, სარგებლობენ, უმეტესად ქერით, რომელიც პურის პქვილის ანაცერია და არ აქვს ის ენერგეტიკული ღირებულება. ამ კომბინირებული საკვების უპირატესობა ის გახლავთ, რომ ერთ საკვებში მოთავსებულია ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერებების დიდ რაოდენობა, რომელიც ზრდის წველადობას, მალევე იმეტებს როგორც პირუტყვი, ასევე ფრინველიც. საშუალება გვექნება ასევე, რომ მოსახლეობისგან შეკვეთები მივიღოთ, რათა ერთმანეთში გადავურიოთ მათთვის სასურველი ნედლეული. შემდგომ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბებზეც გავალთ.

- ძირითადად, რომელ ნედლეულს შეისყიდით მოსახლეობისაგან?

– მიუხედავად იმისა, რომ პურეულ მარცვლებს მიეკუთვნება მცენარეთა დიდი ნაწილი, წარმოებაში განსაკუთრებით ფართოდ გამოვიყენებთ და მოსახლეობისგანაც ძირითადად შევისყიდით - სიმინდს, ქერს და ხორბალს. ამ საქმის წამოწყებასთან ერთად, კარგად გავერკვიე მცირე დეტალებშიც და გეტყვით, რომ პურეული მარცვალის ღირსებას განაპირობებს სხვადასხვა ვიტამინების, არსებობა, მაგრამ ცალკეული საკვები თითქმის არასოდეს შეიცავს ცხოველის საზრდოობისათვის აუცილებელ ყველა ელემენტს, ამიტომ ცალ-ცალკე თითოეული მათგანი არასრულფასოვანია. ამ საკვებთან სხვადასხვა კომბინაციათა შეფარდება და შერევა კი სრულფასოვან კომბინირებულ საკვებს მოგვცემს. ამასთან, ჩვენი კომბინირებული საკვები დააკმაყოფილებს ზოოტექნიკურ, სანიტარულ, ჰიგიენურ პირობებს. ის უნდა იყოს ერთგვაროვანი გარეგანი შეხედულებით, მას არ უნდა ჰქონდეს ობის, ან სხვა უსიამოვნო სუნი.

- ცხოველებისა და ფრინველების კომბინირებულ საკვების დამზადებას საფუძვლიანი ცოდნა სჭირდება, საჭირო ინება ნედლეულისა და საჭირო ნივთიერებების ზუსტი კონცენტრაცია..

– რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ სპეციფიკასა და ცოდნას მოითხოვს, კომბინირებული საკვების რეცეპტის შედგენა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა ცხოველისა და ფრინველის კვების საქმეში. იგი უდიდეს გავლენას ახდენს ასევე ცხოველის პროდუქტიულობის უნარზე. კომბინირებული საკვების რეცეპტის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: საკვებნარევმა სრულად უნდა დააკმაყოფილოს მოცემული სახეობის, ასაკის, თუ პროდუქტიული მიმართულების ცხოველის მოთხოვნილება საზრდო ნივთიერებებზე, საკვებნარევში ცალკეული საკვები ისეთი რაოდენობით უნდა შედიოდეს, რომ მავნებელი არ იყოს ცხოველის ორგანიზმისათვის, ამიტომ უნდა ვიცოდეთ მათი ჩართვის ზღვრული ნორმები, კომბინირებული საკვების რეცეპტი უნდა შედგებოდეს რეალურად არსებული საკვები საშუალებებისაგან. სავარაუდოდ, ჩვენც, კომბინირებული საკვებს მეცნიერულად დასაბუთებული რეცეპტით დავამზადებთ ამა თუ იმ სახეობის ან ასაკობრივი ჯგუფის ცხოველისათვის, საზრდო ნივთიერებათა ეფექტიანად გამოყენების მიზნით. გავითვალისწინებთ ასევე საკვებნარევის ფასსაც - ამაზე ბევრადაა დამოკიდებული წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

- რა ძირითადი განსხვავებებია სხვადასხვა ცხოველის კომბინირებულ საკვებს შორის?

– აქვე ყურადღებას გავამახვილებ იმ სამ ძირითად ნედლეულზე, რომლის გამოყენებასაც ვგეგმავთ ჩვენს საწარმოში. მაგალითად, სიმინდს აქვს კარგი საგემოვნო თვისებები და ჭამადობა. ცხოველები სიამოვნებით ჭამენ, მაგრამ ღარიბია პროტეინით. სხვა პურეულისაგან განსხვავებით, სიმინდი ღარიბია ზოგიერთი ჯგუფის ვიტამინებით. ამიტომ აუცილებელია ჩაირთოს კომბინირებულ საკვებში სხვა საკვების ინგრედიენტები. ქერის ფქვილს იყენებენ ყველა კომბინირებულ საკვებში, მაგრამ ყველაზე მეტად ღორისათვის. ქერით გასუქებული ღორის ხორცი მაღალი ხარისხისაა. რაც შეეხება ხორბალს - კომბინირებული საკვების წარმოებისათვის სრულად დამაკმაყოფილებელი ინგრედიენტია. პურეულის სხვა მარცვლოვნებისაგან განსხვავებით, ხორბალი გამოირჩევა ცილის მაღალი შემცველობით, მასაც გააჩნია კარგი საგემოვნო თვისებები. რაც შეეხება განსხავებას სხვადსხვა ცხოველის კომბინირებულ საკვებს შორის, შემდეგია: მაგალითად, ღორი ყველაფრის მჭამელი ცხოველია. ამიტომ ის უფრო მომთხოვნია საკვების ამინომჟავურ შემადგენლობასა და გარკვეული ჯგუფის ვიტამინების უზრუნველყოფაზე. ძროხის კვების ნორმები დამუშავებულია ასაკის, ცოცხალი მასის, პროდუქტიულობის დონის და ცხოველის ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. ახალ ნორმებში შეტანილია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მიმოცვლის ენერგია, მშრალი ნივთიერება, ნედლი პროტეინი, და მთელი რიგი სასარგებლო ნივთიერებები და ვიტამინები. ფრინველისათვის გამოყენებული საკვები უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ კომპონენტს, უნდა იყოს სრულფასოვანი, აკმაყოფილებდეს ფრინველის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს და ხელს უწყობდეს გენეტიკური პოტენციალის სრულად გამოვლენას. ფრინველისათვის გამოყენებულ უნდა იყოს ყვითელი სიმინდი, რომელიც ენერგიის კარგი წყაროა.

ბატონი შავლეგის ნათქვამს ჩვენ იმასღა დავამატებთ, რომ ეს საწარმო მართლაც კარგი წინაპირობა იქნება ჩვენს მუნიციპალიტეტში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დარგების აღორძინებისა და მომავალი წინსვლისთვის.

თ. ახალკაცი

მამაშვილობა

დედაშვილობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. დედაშვილობის მადლით ცხებული არაერთი ამბის გამოხმობა შეიძლება წარსულიდან, ნამდვილიცა და ლეგენდის სამოსში გახვეულიც.

მამაშვილობაზე კი, სამწუხაროდ, ცოტას საუბრობენ, თუ არადა, მამაშვილობის მაგალითებიც იცის ისტორიამ.

დიდი ქართველი მწერალი ლევან გოთუა მამაშვილობის საოცარ ამბავს გადმოგვცემს თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში „უგზო ქარავანი“, მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ამ მოთხრობას ისტორიული ამბავი უდევს საფუძვლად, მხოლოდ მწერლის მიერ ხორცშესხმული და გააზრებული. მოთხრობის გმირები გამოგონილია, მწერალს ასე სურდა და საყვედურს ვერ შეჰკადრებ, რატომ მაინცდამაინც ისტორიულ ფაქტებს ზედმიწევნით ზუსტად არ გადმოცემს... მწერლისათვის მთავარი იყო, ეჩვენებინა მამაშვილობის საოცარი

გიორგი სააკაძე

მაგალითი და მან ეს უბრწყინვალესად შეძლო...

მაშ რა უდევს საფუძვლად დიდი მწერლის ამ უმშვენიერეს მოთხრობას? საისტორიო წყაროებით დასტურდება იტრიელი ჩხეიძეების ნათესაობა ქართლის დიდ ფეოდალურ გვართან - სააკაძეებთან. გიორგი სააკაძის სიძე იყო გორგასალ ჩხეიძე - იტრიელი ჩხეიძეების სახლის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ცნობილია, რომ გიორგი სააკაძე აქტიურად იბრძოდა ქვეყნის ერთიანობისათვის, ცენტრალიზებული ხელისუფლების გამტკიცებისათვის, თავგასული და ურჩი თავადების ასალაგმად. ირკვევა, რომ გორგასალ ჩხეიძე გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლია, იგი შედის დიდი მოურავის თანამოაზრეთა, ე.წ. "მოკიდებულ კაცთა" შემადგენლობაში და მასთან ერთად იღვწის ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მასთან ერთად იზიარებს წარმატებით გამოწვეულ სიხარულსა თუ მარცხით გამოწვეულ ტკივილს. გორგასალ ჩხეიძემ დიდ მოურავთან ერთად გაიზიარა მისი ხვედრი, სამშობლოსაგან შორს, ჯალათის მიერ გამოტანილი განაჩენის სიმძიმეც.

ქართლის ცხოვრების ავტორები საინტერესოდ მოგვითხრობენ დიდი მოურავისა და მისი სიძის უკანასკნელ დღეებზე. საყურადღებო აქ ის არის, რომ დიდი მოურავის გვერდით არამარტო მისი სიძე გორგასალ ჩხეიძეა, არამედ მისი შვილიშვილიც, გორგასალის ვაჟი - ბეჟან ჩხეიძე.

1626 წელს ბაზალეთთან დამარცხების შემდეგ, გიორგი სააკაძე იძულებულია, თავისი თანამოაზრეებით ოსმალეთში წავიდეს.

ბერი ეგნატაშვილი დიდი მოურავის ოსმალეთში მოღვაწეობისა და მისი უკანასკნელი დღეების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: "და უყო მოურავს ხოთქარმამ წყალობა და მისცა სანჯახები და დააყენა მოურავმან ცოლი და შვილი მისი იორამ მუნ სანჯახშია. ხოლო მოურავმან გმო სჯული თვისი და იქმნა მაჰმადიან და სთხოვა და ჯარი ხონთქარსა და დააპირა, რომ წავალ და დავიჭერ ქართლსაო და სულ გავათათრებო და დაგამონებ ყმათაო. ხონთქარი მაშინ ყეენის გარიგებული იყო და უთხრა ხონთქარმან: ერთი ქუეყანა მაქუსო გამდგარიო და იმაზედ გაგაყენებო და თუ იმაზედ გაგემარჯვება და დაიჭერო, მასუკან მაგასაც გაგირიგებო. გაგზავნა და გაატანა აზამ ვეზირი თანა დიდის ჯარითა. რა მივიდნენ, მუნცა დიად კარგად იყო მოურავი: შეება და გაიმარჯვა.

აზამ ვეზირს ხონთქარის და ჰყუანდა ცოლად. და, რა ესე ამბავი მიუვიდა ხონთქარსა, იამა დიდათ და დიდი სახელი და ხმა დაუვარდა მოურავსა. მაშინ იწყინა ხონთქარის დამა, რომელი ედგა ვეზირსა, და მისწერა წიგნი: "როგორი საქმე არის და, ან როგორ გეკადრებაო, სულ მოურავის სახელი მოდის და შენი არაო". მაშინ უღალატა ვეზირმან: და დაჰპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაცა ჰყუანდა, ყოველივე ამოუწყვიტა. ერთი შვილი ახლდა თანა ავთანდილ, მოუკლეს იგიცა. მაშინ თან ახლდა გორგასალ და შვილი მისი ბეჟან და წააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხვეწა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემ შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალიო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთვლებაო და მაგას ნუ მომიკლავო. მაშინ ისმინა მტარვალმან და არდარა მოუკლა შვილი, თვით გორგასალ მოკლა: თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გააროინა. ბეჟან მორჩა წარმოვიდა" (ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 161-163).

თითქმის იგივეს მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც მოურავის უკანასკნელი დღეებზე:

„ხოლო ქაიხოსრო და მოურავი წარვიდნენ სტამბოლს წინაშე ხონთქრისა. მისგან მოითხოვეს სპანი, რათა დაუპყრან ქართლი და მუნცა მაჰმადიან იქმნა მოურავი. მაშინ ზავი იყო ხონთქარსა და ყეენსა შორის და არა ინება ხონთქარმან. არამედ წარავლინა ქაიხოსრო და მოურავი სხუასა ქუეყანასა ბრძოლად და, უკეთუ დაიპყრან იგი, შემდგომად წარავლინოს ქართლს სპითა დიდითა. მისრულთა ვეზირ-აზამისა თანა ქაიხოსრომ და მოურავმან ქუეყანასა მას დიდნი სახელნი ქმნა მოურავმან და დაიპყრა ქუეყანა იგი, და ესე აუწყეს ხონთქარსა. არამედ ცოლი ვეზირ-აზამისა იყო დაი ხონთქრისა, ამან მჭმუნვარემან მიუწერ ქმარსა, თვისსა: "რაი არს ესე, რომელ განდიდნა სახელი მოურავისა და არა რაი ისმის სახსენებელი შენი. ამაისთვის უმჯობეს არს სიკუდილი შენი ყოფასა შენსა".

განრისხნა ვეზირ-აზამი, შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველნი ქართველნი მათ-თანანი და წარკუეთნა ყოველთა თავნი. არამედ გორგასლს შვილს ბეჟანს რა ჰკუეთდენ თავსა, ეტყოდა მამა მისი მტარვალსა მას ნიჭის მიცემითა: "მე მომკუეთე თავი და განუტევე ძე ჩემი". რამეთუ იგი განტევებულ იყო ნიჭის მისთვის, განუტევა ბეჟან და წარკუეთა თავი გორგასალ.." (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, გვ. 435-436).

როგორც დავინახეთ, არცერთი მემატიანე, არც ბერი ეგნატაშვილი და არც ვახუშტი ბატონიშვილი, მამა-შვილის - გორგასალისა და ბეჟანის გვარს არ ასახელებენ, არც დიდი მოურავთან მათ ნათესაურ კავშირზე საუბრობენ. ამ საკითხის გარკვევა მხოლოდ ზოგიერთი მათი თანადროული თუ შემდგომი პერიოდის ისტორიული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ხდება შესაძლებელი. ეს დოკუმენტები ჩვენს სიძველეთ საცავეებშია დაცული.

საოცარი დრამატიზმით გამოირჩევა დიდი მოურავის ცხოვრების უკანასკნელი დღეები, რომელსაც უფრო მეტად ამძაფრებს მისი სიძისა და შვილიშვილის თავს დატრიალებული ამბავი. ეს უფრო ტრაგიზმით აღსავსე წუთები იყო მამა-შვილის ცხოვრებაში, რომელსაც გორგასალ ჩხეიძის მხრიდან მოჰყვა ნაბიჯი, რომელიც არ იყო მხოლოდ ემოციების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. ეს იყო გააზრებული, თავისი შედეგით წინასწარ გაცნობიერებული გადაწყვეტილება, რომელიც თაობების ხსოვნაში დარჩა, როგორც მამაშვილობის დიდი მაგალითი.

გორგასალ ჩხეიძე, როგორც ზემოთ მოხმობილი ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან ირკვევა, შემთხვევით ასცდა დაპატიმრებას, მაგრამ დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა მისი ვაჟი - ბეჟან ჩხეიძე. ჯალათს ტყვეები თვლით ჩაუბარებია და, შესაბამისად, მათი მოკვეთილი თავებიც თვლით უნდა ჩაებარებინა ვეზირ აზამისათვის. ალბათ, გორგასალს შეეძლო, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასწრაფოდ გაცლოდა იქაურობას და თავი გადაერჩინა. მაგრამ მან უმაგალითო გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინა - თავისი თავი შესთავაზა ჯალათს შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ - „მაგ ჩემ შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალიო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთვლებაო" და დიდი მოურავისა და სხვა დატყვევებული ქართველების ბედი გაიზიარა.

ამრიგად, დიდი მოურავის ამალიდან მხოლოდ ბეჟან ჩხეიძე გადაურჩა სიკვდილს და XVII საუკუნის 30-წლების დასაწყისში უკან, სააქართველოში - იტრიაში დაბრუნდა და აქ, მამაშვილობის იშვიათი მადლით ცხებული აგრძელებდა ქვეყნისათვის საჭირო და აუცილებელ მოღვაწეობას.

თამაზ ლაცაბიძე

ჩხეიძეების საგვარეულო გერბი

ჩხეიძეების საგვარეულო ხატი

მიშას აშენებული ხაშური - პოტიომკინის სოფელი კუბში

აფიორების ისტორია შორეული ბიბლიური ეპოქიდან იწყება, როდესაც გველმა ისე დაუნუგბარა ჩვეულებრივი ვაშლი ადამს და ევას, ისე „შეახვია“ ეს ორი უცოდველი არსება, იმდენი უჩიჩინა ვაშლის სიკეთეზე და მისი მიღების აუცილებლობაზე, იმდენად დააჯერა თავისი სიტყვის სრულ ჭეშმარიტებაში, რომ მიგეშვათ, ერთს კი არა, მთელი ვაშლის ბაღს გადაკრეფდნენ. ამის შემდეგ, ბიბლიური მაგალითი

იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ სულ აიშვეს ადამიანებმა. გველს, მამაძაღლს, ოხერს და თახსირს რა დალევს ადამის მოდგმაში და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე იმდენი აფიორა გათამაშდა, მძლავრი კალკულატორიც არ ეყოფა იმის დათვლას.

საერთოდ „აფერა“ ფრანგული ენიდან მოდის და სიტყვა-სიტყვით საქმეს ნიშნავს. ასეთი „საქმეების“ დიდოსტატები ბევრი იცის ჩვენმა წარსულმა. ბალთაზარ კოსა, კაზანოვა, პოტიომკინი, ჰეიგი, (ეს ისაა,სამჯერ რომ გაყიდა ეიფელის კოშკი) და სხვა ათასი რჯულის შარლატანი, რომელთაგან ბევრი შემდეგ ლიტერატურულ გმირებადაც იქცნენ და ოსტაპ ბენდერებად თუ კვაჭი კვაჭანტირაძეებად გარდაიქმნენ. დიახ, აფერისტები არასოდეს აკლდა მსოფლიოს, მაგრამ მართლაც იშვიათია შემთხვევა, როდესაც აფიორა სახელმწიფო საქმედ იქცევა და მასში ქვეყნის მთავრობაა ჩაბმული. ამ იშვიათობის „ბედნიერება“ კი სწორედ ქართველებს დაგვატყდა თავს, როდესაც 300 ათასი კაცის ციხეში გამომწყვდევი პრეზიდენტი დემოკრატიის შუქურად იქცა ევროპისა თუ ამერიკელების თვალში, როდესაც ბათუმი ბარსელონად ვაქციეთ, როდესაც შუა ჭაობებში მსოფლიოში ყველაზე დიდი პორტი და მილიონიანი ქალაქი ლაზიკა წამოვჭიმეთ, როდესაც მტერმა ერთი მეოთხედი ტერიტორია ჩამოგვაჭრა და ხალხს გამარჯვება აზეიმებინეს, როდესაც კორუფცია „მოსპეს“ და სინამდვილეში მისი პრივატიზება მოახდინეს... მოკლედ, ეს „როდესაც“ დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. დღეს ერთი ისტორია უნდა გაგახსენოთ, რომელიც ნაცბანდის აფიორების ბრილიანტის ბეჭედში მართლაც ულამაზესი ბადახშივით ბრჭყვიალებს.

მაშ, ასე: 2008 წელი. საქართველოს პრეზიდენტი, დიდი მიხეილ პირველი, ხაშურს სტუმრობს და ყოფილი გრანიტის ფილების ქარხნის ტერიტორიაზე ზემძლავრი შუშის ქარხნის აშენებას აანონსებს. მას ახვედრებენ მოსუფთავებულ ტერიტორიას, გაჭრილ ბალავარს, რა თქმა უნდა, ასეულობით ტაშის დამკვრელს და ჰერიი, ბიჭმაც მოადო პირი: 700 დასაქმებული ხაშურელი, 100 მილიონი ბოთლი წელიწადში, მთლიანად შეცვლილი ინფრასტრუქტურა, მოასფალტებული გზები, დასაქმებული ხალხისთვის აშენებული საცხოვრებელი კორპუსები და, რაც მთავარია, გარანტირებული 1000 ლარიანი მინიმალური ხელფასები. სიმართლე გითხრათ, ოდნავ კი გამკრა მაშინ ეჭვმა გულში, რადგან ყოფილი შუშის ქარხანა იქვე იყო და მის აღდგენაზე იმის მეოთხედიც არ დაიხარჯებოდა, რაც ახალი ქარხნის აგებას ჭირდებოდა, მაგრამ როგორ არ ენდობოდი ქვეყნის პრეზიდენტს? მეც, მთელ ხაშურთან ერთად, ვუტყაპუნებდი ტაშს და ხბოს აღტაცებით ხაშურის ნათელ მომავალზე ვფიქრობდი. ნეტარ არიან მორწმუნენი! მიშიკო დაგვემშვიდობა, თავის ლიმუზინში დურთა თავი და, დღეს ვხვდები, ალბათ „ვაი, თქვენს პატრონსო“... ჩაილაპარაკა.

...გავიდა ორი წელი. როგორც ჩუქჩას არასოდეს არ მოენატრება ანანასი (არ უნახავს და იმიტომ), ისე იმ ადგილზე, ამ ხნის განმავლობაში, კაცი აღარ გამოჩენილა.

2010 წელი. მისმა აღმატებულებამ კვლავ ინება ხაშურში სტუმრობა. საოცარია და ისევ ის ადგილი აირჩია. იგივე ოვაციები, ჟურნალისტების არმია, დროშების ფრიალი და მიშამაც ისევ იგივე შეუბერა: აქ რომ ქარხანა იქნება, მსგავს ყოფილ საბჭოთა სივრცეში არსად ყოფილაო... ძველ სიმღერას კი ახალი დაუმატა: დღესვე დავწერ ბრძანებას და არავითარი მსხვილი გადამხდელების პრინციპი, ქარხნის მთელი გადასახადები რაიონის ბიუჯეტში დარჩებაო (ამ ადგილას მხურვალე ტაში, მქუხარეში გადაიზარდა).

2012 წელი. არჩევნებამდე ორიოდე კვირა რჩება. მიშიკო კვლავ ხაშურშია. თეთრი მაისურიც აცვია წარწერით – „მე მიყვარს ჩემი ხაშური“ (ისე მაგ ნარცისს რა ვუთხარი, რომ თავის თავის და ძალაუფლების გარდა, არაფერი უყვარს), და ჰოი, საოცრებავ! მიშა კვლავ იმ ადგილზეა. ალბათ მიხვდა, ძველი სიმღერა ნაკლებად გაჭრიდა ხალხზე და ახლებური ინტერპრეტაცია ლეწა: რაიო, მშენებლობა არ დაწყებულაო? ეს რა მესმისო? ეს რა გავიგეო... ხვალვეო, აქ, სულ მინიმუმი, ხუთასი მშენებელი მაინც იყოს და ექვს თვეში ქარხანა ჩამაბარეთო... მესამედ გახსნა ქარხანა, კაცოო!.. პირდაპირ ჰაერში გახსნა. არ არის ახლა ეს აფიორის მწვერვალი?

ოთხი წელი გავიდა ქარხნის ბოლო გახსნიდან. ორიოდე დღის წინ მისმა ტელევიზიამ მორიგი ჩართვა განახორციელა მბრძანებელთან. მიშაც ჩვეულ ფორმაშია და ორ თვეში მოვალთ, ისევ ჩვენ მოვექცევით ქვეყნის სათავეში და მერე ნახეთ თქვენ საქართველოს აღორძინებაო... აი, აქ კი, დარწმუნებული ვარ, ხაშურლების აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც ამ სიტყვებს მოუსმინა, იმას გაიმეორებდა, რაც მიშამ იმ პირველ შეხვედრისას

ხაშურლებს უძღვნა: ვაი, შენს პატრონს, მიშიკო! თუმცა, რა, მაინც ქართველები ვართ და სტუმარ-მასპინძლობის წესი არ უნდა შეგვეშალოს. ჩამოდი, ჩამოდი, ჩვენო მზე და მთვარეე, ჩამოდი და ბროლოსნის სახელგანთქმულ „პინოს“ მოგართმევთ იმ ბოთლებით, შენმა აშენებულმა შუშის ქარხანამ რომ გამოუშვა.

გ. გოგოლაძე

სასწრაფო რეაგირებაა საჭირო

ტყის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა გარკვეულწილად, ყოველთვის დგას საშიშროების წინაშე, რომელსაც შიმშილისაგან შეწუხებული მტაცებელი ცხოველები ქმნიან. სურამში, ბაიანთხევის უბნის მკვიდრი, მუხრან ჩხეიძე, იმ რამდენიმე შემთხვევაზე ჰყვება, რომელიც მეორე წელია საფრთხეს უქმნის იქ მაცხოვრებელ მოსახლეობას და სეზონურ დამსვენებლებს. ტყიდან ჩამოსულმა მგელმა რამდენიმე თხა, ძროხა და კვიცი შეჭამა. როგორც მუხრანი ამბობს, განცხადებით მიმართა ადგილობრივ პოლიციის სამმართველოს, თანდართული ფოტომასალებით, რომელიც თავდასხმის ფაქტებს ადასტურებს. დღემდე რეაგირების გარეშე რჩება მისი განცხადება, რომელიც დაუყონებლივ ზომების მიღებას საჭიროებს:

მუხრან ჩხეიძე(ბაიანთხევის მცხოვრები):

–ჯერ კიდევ გასულ წელს, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც ტყიდან ჩამოსულმა მგელმა მეზობლის თხა და ძროხა წელს კი კვიცი შემიჭამა, რითაც სეზონურად გარკვეული შემოსავლის მიღებას ვაპირებდი, რამდენიმე დღის წინ ცხენიც დამიგლიჯა. მგელი მოსახლეობაში ჩამოდის და იქ ესხმის თავს პირუტყვს. ადრე პიონერთა ბანაკი იყო, იქ ვაბამ ცხენებს, ტურა, მგელი, უპატრონო ძაღლებით გაივსო ტყე. მივმართე პოლიციას განცხადებით, იქ დევს ფოტოებიც აღნიშნულ ფაქტზე. რეაგირება არ მოჰყოლია. მითხრეს, რომ ჯგუფია გამოყოფილი, მაგრამ რამდენიმე დღის წინაც იგივე განმეორდა, არც თოფის ხმარების უფლებას მაძლევენ, დაჯარიმდებიო, მეუბნებიან. არადა, ბევრი დამსვენებელია ჩამოსული, მათაც ეშინიათ, არ ვიცი როგორ მოვიქცე, მგელს ხომ არ შევაჭმევინებ თავს?!

26 მაისის ქუჩა, რომელიც ბაიანთხევის უბნადაა ცნობილი, დამსვენებელთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ცნობილი. ულამაზესი ფიჭვნარი მთელი საქართველოდან იზიდავს დამსვენებელთა ნაკადს და მართლაც საგანგაშოა, რომ მათთან სიახლოვეს ასეთი ფაქტები ხდება. ღმერთმა დაგვიფაროს რაიმე ფატალური შედეგისაგან, მაგრამ სასწრაფო რეაგირება რომაა საჭირო, ფაქტია.იმედია, პოლიციის სამმართველოც და ბუნების დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიც კოორდინირებულად იმოქმედებენ, რომ ბაიანთხევის მცხოვრებთ თუ დამსვენებლებს ყოველგვარი საშიშროება მოეხსნათ.

-ფეხბურთი-

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი ,,ბანკი იუნაიტედი" გახდა

ერთი კვირაა გრძელდებოდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინიფეხბურთში ორგანიზაციებს შორის, რომელიც გამგეობის ინიციატივით და გამგეობის კულტურისა და სპორტის

სამსახურის ორგანიზებით მიმდინარეობდა. სასიამოვნოა, რომ ტურნირს სპონსორიც გამოუჩნდა და სათამაშო ბიზნესის ცნობილმა წარმომადგენელმა – „ლიდერბეთმა" ფეხბურთელები სპორტული მოსასხამებითა და ბურთებით მოამარაგა. მისივე დაწესებული იყო თასი, რომელიც ბოლოს ღირსეული ჩემპიონს – ხაშურში მოქმედი ბანკების გაერთიანებულ გუნდს - „ბანკი იუნაიტედს" გადაეცა. (საქართველოს ბანკი, ფინკა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი"). მანმადე კი მართლაც უშეღავათო ბრძოლა იყო ჩემპიონობისათვის. ნახევარფინალში სასპორტო სკოლა – სალიანდაგო სამართველო და „ბანკი იუნაიტედი" – რკინიგზის კავშირგაბმულობის სამართველო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველ წყვილში, უგოლო თამაშის შემდეგ, პენალტების სერიამ ფინალში მონაწილეობის უფლება სასპორტო სკოლას არგუნა. მეორეში კი ბანკების გაერთიანებამ საკმაოდ იოლად სძლია კავშირგაბმილობის გუნდს.

ფინალურმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ამას გულშემატკივართა დიდი რაოდენობაც მოწმობს. უშედავათო ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ სასურველი გოლის გატანა ვერცერთმა გუნდმა მოახერხა. პენალტების სერიაში კი ბრწყინვალე იყო ბანკების გაერთიანებული გუნდი და ჩემპიონობაც და „ლედერბეთის" თასიც ღირსეულად მოიპოვა.

მარიამ ღარიშვილი - ევროპის ჩემპიონატზე ფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე

კიდევ ერთი წარმატება ხაშურის სასპორტო სკოლის აღზრდილ მარიამ ღარიშვილისაგან (მწვრთნელები: ირაკლი ბითაძე და ავთანდილ ხვედელიძე

სურათზე: მაღლა რიგში მარცხნიდან მესამე), რომელიც ასპარეზობს საქართველოს გოგონათა საკალათბურთო ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. მარიამ ღარიშვილმა ანდორაში ჩატარებულ 16 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე „ც" ჯგუფში მოიპოვა ოქროს მედალი და დასახელდა ფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ. ვულოცავთ მარიამს აღნიშნულ წარმატებას და ვუსურვებთ მომავალ ასპარეზობებში გამარჯვებებს.

გიორგი ბარბაქაძე - საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი

21 - დან 28 ივლისამდე, ბათუმში, დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ჭადრაკში ორი ასაკობრივი ჯგუფებისათვის – 8 და 14 წლამდე მოჭადრაკეები შვეიცარული სისტემით არკვევდნენ ჩემპიონის ვინაობას.

ტურნირში ჩვენი სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც იღებდნენ მონაწილეობას. (მწვრთნელი ალექსანდრე ჭადაშვილი). მათგან საუკეთესო შედეგი 8 წლის გიორგი ბარბაქაძემ აჩვენა, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი და ფულადი ჯილდოც დაიმსახურა. სხვათაშორის, რომ არა ბოლო ტურში დასანანი მარცხი, გიორგი ჩემპიონი გახდებოდა. თუმცა, ფაქტია, მის ასაკში ეს მიღწევა შესანიშნავია.

14 წლიანებში ჩვენმა წარგზავნილებში სიმონ ბუღაძემ და სანდრო ლიჩელმა, შესაბამისად, V-VI ადგილები დაიკავეს. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით მოჭადრაკე მონაწილეობდა, ეს შედეგიც საპატიოა.

ჩვენი მოჭადრაკეების ტურნირში მონაწილეობა ფინანსურად მთლიანად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყო.

–ჭიდაობა–

დავით მეტრეველის სახელობის ტურნირი

24 ივლის, სოფელ ვაყაში ხაშურის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურისა და სასპორტო სკოლის ორგანიზებით გაიმართა დავით მეტრეველის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ხაშურის, ქარელის, გორის, საგარაჯოს, თელავის, ახმეტისა და თბილისის ტიტულოვანი სპორტსმენები. საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა:

60კგ - I ადგილი თემურ ნოზაძე (ხაშური);

II ადგილი - ლაშა ჩადუნელი (ხაშური);

III ადგილი - ვახტანგ მეტივიშვილი (ხაშური).

66კგ - I ადგილი ვანო მამისაშვილი (საგარეჯო)

II ადგილი - გიორგი მეტრეველი (ხაშური);

III ადგილი - ნიკოლოზ ჭიკაიძე (ახმეტა).

73კგ - I ადგილი - დავით კოპაძე (გორი);

II ადგილი - ნიკოლოზ მამულაშვილი (ხაშური);

III ადგილი - გიორგი ქალდანი (თბილისი).

81კგ. I ადგილი - ლუკა მაისურაძე (ხაშური);

II ადგილი - ზვიად კაპანაძე (გორი)

III ადგილი - ზურა ლიქოკელი (თელავი).

+81კგ I ადგილი - ვალერ პეპინაშვილი (თელავი);

II ადგილი - ვახტანგ სარაჯიშვილი (თელავი);

III ადგილი - ალექსი ზაალიშვილი (თელავი).

D წმინდა ნინოს ქუჩის უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ აკაკი ინდუაშვილს მეუღლის **მანანა ლობჟანიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს, სავაგონო დეპოს, უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს, კავშირგაბმულობისა და ენერგომომარაგების ადმინისტრაცია და თანამშრომლები, საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი და მისი წევრები სამძიმარს უცხადებენ აკაკი ინდუაშვილს მეუღლის **მანანა ლობჟანიძის** გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.